

შპს B.P.TRANS

**მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება**

და აუდიტორის დასკვნა

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და
ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	10

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანიის აღწერა.....	11
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	18
4. ძირითადი საშუალებები	19
5. საინვესტიციო ქონება.....	20
6. არამატერიალური აქტივები	21
7. სხვა გრძელვადიანი მოთხოვნა	21
8. მარაგები.....	22
9. დაკავებული ფულადი სახსრები	22
10. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	22
11. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	23
12. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება.....	23
13. მიღებული სესხები	24
14. საგადასახადო ვალდებულება	25
15. ამონაგები.....	25
16. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	25
17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	26
18. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	26
19. პირობითი ვალდებულებები	26
20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	27
21. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	28
22. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	28

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს B.P.TRANS მენეჯმენტსა და მესაკუთრეს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს B.P.TRANS (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მათი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ფინანსურ მდგომარეობის ანგარიშგებაში სასაქონლო მატერიალური მარაგები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შესაბამისად 797 275 და 207 815 ლარით.

ჩვენ არ დავსწრებივართ 2020 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სასაქონლო მატერიალური მარაგების ინვენტარიზაციას, რადგან ინვენტარიზაციის ჩატარების მომენტისათვის არ ვიყავით დანიშნულები შესაბამისი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების აუდიტორებად. ვერც სხვა ალტერნატიული პროცედურებით მოხერხდა შესაბამისი თარიღების მდგომარეობით ზემოაღნიშნული ანგარიშის ნაშთების არსებობასთან და სისწორესთან დაკავშირებით საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვება.

ფინანსურ მდგომარეობის ანგარიშგებაში საინვესტიციო ქონების მუხლში 2021, 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დაუმთავრებელი მშენებლობა წარმოდგენილია შესაბამისად 1 328 597, 901 998 და 491 376 ლარით.

კომპანია არ აწარმოებს აღნიშნულ სამშენებლო ობიექტზე გაწეული დანახარჯების აღრიცხვას სათანადო ფორმით და შესაბამისად ვერ შეძლო სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენა. მასალებისა და მუშა-ხელის ხელფასის ხარჯის დაკაპიტალიზება ხდება კომპანიის თანამშრომლებს შორის ზეპირი კომუნიკაციის შედეგად. ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება აღნიშნული ხარჯების კლასიფიკაციასთან და სისწორესთან დაკავშირებით.

სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, რეალიზაციის თვითღირებულების მუხლში 2021 და 2020 წლების პერიოდში აღრიცხული საწვავის ხარჯი წარმოდგენილია შესაბამისად 2 348 985 და 1 720 175 ლარით, ხოლო მასალების ხარჯი შესაბამისად 11 228 635 და 1 914 202 ლარით.

საწვავისა და მასალების შესყიდვის აღრიცხვა ხორციელდება სათანადოდ, თუმცა ხარჯის აღრიცხვა ხორციელდება თანამშრომლებს შორის ზეპირი და ელექტრონული მიმოწერის საფუძველზე - არ დგება ხარჯის დოკუმენტი, რასაც შესაბამისი პასუხისმგებელი პირები ხელმოწერით

დაადასტურებენ. შესაბამისად ჩვენ ვერ შევძელით - მათ შორის ვერც სხვა ალტერნატიული პროცედურებით - საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება ზემოაღნიშნული ხარჯების დროში გამიჯვნასთან და სისწორესთან დაკავშირებით.

სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების მუხლში 2021 და 2020 წლების პერიოდში უსაბუთო ხარჯები წარმოდგენილია შესაბამისად 1 852 667 და 1 434 352 ლარის ოდენობით. ჩვენ ვერ შევძელით აღნიშნული ხარჯის სისწორესთან და წარმოშობასთან დაკავშირებით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება.

შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირებები წარდგენილ მარაგებთან, საინვესტიციო ქონებასთან, რეალიზაციის თვითღირებულებასთან და საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებთან ასევე ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებების შემადგენელ შესაბამის ელემენტებთან მიმართებაში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან და კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

შპს B.P.TRANS-ის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება არ არის აუდიტებული.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება

მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის და კომპანიას ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნი, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია ან კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის დასკვნის დანიშნულება და გამოყენება

აღნიშნული დასკვნის შინაარსი, მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით, შედგენილია კომპანიისა მენეჯმენტისა და დამფუძნებლებისათვის. დამკვეთი უფლებამოსილია შემსრულებლის მიერ შედგენილი დოკუმენტი გამოიყენოს მხოლოდ შემდეგი მიზნებისთვის (და არა რომელიმე სხვა მიზნით: საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად, 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებაში, კანონის შესაბამისი სავალდებულო მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, ატვირთოს აუდიტორის ანგარიში, აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ანგარიშგების პორტალზე www.reportal.ge

აღნიშნული დასკვნის - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - გაცემით, ჩვენ არ ვიღებთ და არც მოვიაზრებთ რაიმე სახის პასუხისმგებლობას აღნიშნული დასკვნის რომელიმე სხვა მიზნით ან რომელიმე სხვა პირის მიერ გამოყენების შემთხვევაში, მათ შორის იმ პირის წინაშე რომლისთვისაც აღნიშნული დასკვნა და მისი შინაარსი - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - რაიმე გზით გახდა ხელმისაწვდომი, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ჩვენს მიერ ასეთი პასუხისმგებლობა ცალსახად და გარკვევით, წინასწარ, წერილობითი ფორმით იყო აღიარებული შესაბამისი პირის წინაშე.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ლევან პაპიაშვილი

რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-387992

შპს კრესტონ ჯორჯიას სახელით (ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-342289)

პ. ქავთარაძის 1 შესახვევი #10; სართული 3, ოფისი 4,

თბილისი 0186, საქართველო

11.11.2022 წელი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	11,973,771	5,839,902	3,281,134
საინვესტიციო ქონება	5	3,731,863	3,364,316	2,993,676
არამატერიალური აქტივები	6	28,695	700	-
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნა	7	368,847	368,847	2,960,914
გაცემული სესხები		56,227	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		16,159,403	9,573,765	9,235,724
გადახდილი ავანსები		593,106	217,568	204,404
მარაგები	8	797,275	207,815	-
დაკავებული ფულადი სახსრები	9	224,131	3,210,150	-
მოთხოვნები და სხვა დებიტორული დავალიანება	10	3,822,747	2,518,538	1,918,632
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	23,683	3,800	6,803
სულ მოკლევადიანი აქტივები		5,460,942	6,157,871	2,129,839
სულ აქტივები		21,620,345	15,731,636	11,365,563
კაპიტალი და ვალდებულებები				
გაუნაწილებელი მოგება		14,683,609	8,576,129	6,921,588
სულ კაპიტალი		14,683,609	8,576,129	6,921,588
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	12	475,169	-	-
მიღებული სესხები	13	1,750,520	-	1,130,350
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,225,689	-	1,130,350
მიღებული ავანსები		576,320	4,309,150	-
მიღებული სესხების მიმდინარე ნაწილი	13	2,081,235	918,145	800,000
საგადასახადო ვალდებულება	14	372,507	668,964	849,404
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	12	1,680,985	1,259,248	1,664,221
სულ მიმდინარე ვალდებულებები		4,711,047	7,155,507	3,313,625
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		21,620,345	15,731,636	11,365,563

დადასტურებული და ხელმოწერილია 2022 წლის 11 ნოემბერს ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი - ვალერიანე კვარაცხელია

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
ამონაგები	15	34,248,703	15,876,817
რეალიზაციის თვითღირებულება	16	(24,610,148)	(12,427,462)
საერთო მოგება		9,638,555	3,449,355
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(3,049,040)	(2,025,413)
საოპერაციო მოგება		6,589,515	1,423,942
ფინანსური ხარჯი		(438,309)	(384,203)
ფინანსური შემოსავალი		19,200	-
გაცვლითი კურსის წმინდა ეფექტი		42,114	(15,295)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	18	(55,525)	630,097
ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღ. ზარალი		(49,515)	-
მოგება დაბეგვრამდე		6,107,480	1,654,541
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა მოგება		6,107,480	1,654,541
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		6,107,480	1,654,541

დადასტურებული და ხელმოწერილია 2022 წლის 11 ნოემბერს ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი - ვალერიანე კვარაცხელია

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2019	6,921,588	6,921,588
წლის წმინდა მოგება	1,654,541	1,654,541
31 დეკემბერი 2020	8,576,129	8,576,129
წლის წმინდა მოგება	6,107,480	6,107,480
31 დეკემბერი 2021	14,683,609	14,683,609

დადასტურებული და ხელმოწერილია 2022 წლის 11 ნოემბერს ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი - ვალერიანე კვარაცხელია

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგრამდე	6,107,480	1,654,541
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	863,900	506,806
ძირითადი საშუალებების გასვლა/სხვა კორექტირება	235,115	30,935
მოთხოვნების გაუფასურება	247,728	-
ფინანსური შემოსავლები	(19,200)	-
ფინანსური ხარჯები	438,309	384,203
წმინდა (მოგება)/ზარალი საკუროსო სხვაობიდან	(42,114)	15,295
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	7,831,218	2,591,780
საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		
მარაგების (ზრდა)/შემცირება	(589,460)	(207,815)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება	(1,927,475)	(613,070)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	(2,801,454)	3,888,882
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	(296,457)	(180,440)
გრძელვადიანი მოთხოვნის (ზრდა)/შემცირება	-	2,592,067
ბანკში ბლოკირებული საგარანტიო თანხის ცვლილება	2,986,019	(3,210,150)
მიღებული პროცენტები	17,483	-
გადახდილი პროცენტები	(425,340)	(384,203)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	4,794,534	4,477,051
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(7,166,827)	(3,037,457)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(35,000)	(700)
სესხის გაცემა	(72,510)	-
გაცემული სესხის დაბრუნება	18,000	-
საინვესტიციო ქონების შეძენა	(426,599)	(429,692)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(7,682,936)	(3,467,849)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის აღება	4,254,437	1,470,012
სესხის გადახდა	(1,346,152)	(2,482,217)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	2,908,285	(1,012,205)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	19,883	(3,003)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	3,800	6,803
საკუროსო სხვაობის ცვლილების გავლენა ფულზე	-	-
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	23,683	3,800

დადასტურებული და ხელმოწერილია 2022 წლის 11 ნოემბერს ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი - ვალერიანე კვარაცხელია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

1. კომპანიის აღწერა

შპს B.P. TRANS დაფუძნდა 2012 წლის 27 იანვარს. მისი სამართლებრივი ფორმაა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და საიდენტიფიკაციო ნომერია: 400035118.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, ზარზმის ქ., №3, ბ.31, ხოლო ფაქტიური მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ბურძგლას ქუჩა, 74.

შპს B.P. TRANS -ის 100% წილის მფლობელია დამფუძნებელი ბიჭიკო პაიკიძე, 01004006857.

კომპანიის დირექტორი და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია ვალერიანე კვარაცხელია, 01006016579.

კომპანიის ძირითადი საქმიანობის სფეროებია:

ბეტონის პროდუქციის წარმოება სამშენებლო მიზნებისათვის
გზების და ავტობანების მშენებლობა
ღორღიანი და ქვიშოვანი კარიერების დამუშავება
საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა
ხიდების და გვირაბების მშენებლობა
გადაზიდვის მომსახურება

შპს B.P. TRANS-ს არ გააჩნია არც კონტოლს/ერთობლივ კონტოლს დაქვემდებარებული საწარმო, და არც მეკავშირე საწარმო.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად ანგარიშგების თარიღისთვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ (ზარალი)“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

თარიღი	USD	EUR
31-დეკ-2020	3.2766	4.0233
31-დეკ-2021	3.0976	3.5040

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში ფინანსური ანგარიშგება) მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს / IFRS for SME's) შესაბამისად.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს -ის შესაბამისად წარდგენილი პირველი ფინანსური ანგარიშგება.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და ასევე განმარტებით შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკისა და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მის ფასს–ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისათვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (და გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალეები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

სესხები

სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯში.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება გაცემულ დივიდენდებზე. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიას საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც უკავშირდება გაყიდვებს, გადასახდელია საგადასახადო ორგანოში, როდესაც მოხდება საქონლის ან მომსახურების მიწოდება. შესყიდვებზე გადახდილი დღგ ჩაითვლება გადასახდელ დღგ-სთან, როდესაც მოხდება კომპანიას მიერ ანგარიშ-ფაქტურის მიღება. საგადასახადო ორგანოსმიერ ნებადართულია რომ დღგ-ს ანგარიშსწორება განხორციელდეს ნეტო ბაზისზე. გაყიდვებზე და შესყიდვებზე დარიცხული დღგ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო თანხით. როდესაც კომპანიას მიერ მოთხოვნებთან დაკავშირებით იქმნება გაუფასურების ანარიცხი, იგი მოიცავს მისაღები დღგ-ს თანხებსაც.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ექვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელიც წარმოიშვა.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითადი საშუალებების შეფასდებული მომსახურების ვადებია:

კომპანია	შეფასებული მომსახურების ვადა
შენობები	20 წელი
მანქანა-დანადგარები	5 წელი
ოფისის აღჭურვილობა	5 წელი
ავეჯი და ინვენტარი	5 წელი
სამშენებლო ინვენტარი	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები და სამშენებლო ტექნიკა	10-15 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

საინვესტიციო ქონება

კომპანია საინვესტიციო ქონებას აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად, თვითღირებულებით, რომელიც მცირდება ცვეთითა და გაუფასურების ზარალით. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. მიწის და შენობის ჯგუფის ცვეთად წილს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, მომსახურების ვადა - 20 წელი.

საინვესტიციო ქონება არ აღირიცხება რეალური ღირებულების ცვლილებით, რადგან კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ ასეთ აღრიცხვასთან დაკავშირებული დანახარჯი მიზანშეუწონელი იყო სააღრიცხვო პერიოდისთვის და პირველი წარდგენისთვის. მომავალ სააღრიცხვო პერიოდისთვის შესაძლებელია საინვესტიციო ქონების აღრიცხვა რეალური ღირებულების ცვლილებით განხორციელდეს.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში,

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

თუ (ა) მოსალოდნელია, რომ ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. კომპანიის არამატერიალური აქტივების ნაშთი შედგება სააღრიცხვო პროგრამისგან (ამორტიზაცია გამოიანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურეობის ვადის გათვალისწინებით) და მოპოვების ლიცენზიისგან (ამორტიზაცია გამოიანგარიშება გამოყენების პროპორციულად).

მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს საქმიანობასთან დაკავშირებულ ნედლეულსა და მასალებს და დაუმთავრებელ წარმოებას. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანია ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, კომპანია აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

ამონაგების აღიარება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია კომპანიას მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასთან დაკავშირებული და სხვა ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვა - საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა - კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

სამშენებლო ხელშეკრულებები - თუ შესაძლებელია სამშენებლო ხელშეკრულების შედეგის საიმედოდ შეფასება, კომპანია სამშენებლო ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ამონაგებსა და დანახარჯებს

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

აღიარებს სახელშეკრულებო სამუშაოების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარიგების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების არასაოპერაციო ნაწილში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისგან.

წინასწარ გადახდილი ხარჯები

წინასწარ გადახდილი ხარჯები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საწესდებო კაპიტალი და დივიდენდები

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი.

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

საოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის. საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარდგება „რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების“ ან „საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების“ მუხლში თავისი შინაარსის მიხედვით.

კომპანია, როგორც მეიჯარე - საიჯარო შემოსავალი წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის შემოსავლად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

ფინანსური იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარეზე. ფინანსური იჯარის დროს აქტივის და შესაბამისი ვალდებულების საბალანსო თანხა განსაზღვრულია მინიმალური საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულებით, მინიმალური საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების გამოანგარიშებისას დისკონტირების ფაქტორის გათვალისწინება ნიშნავს: საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებას, თუ მისი დადგენა პრაქტიკულად შესაძლებელია, ხოლო თუ მისი დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია - ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებას.

ფინანსური იჯარა ფინანსურ ხარჯებთან ერთად წარმოშობს აქტივის ცვეთის ხარჯებს ყოველ საანგარიშგებო პერიოდში. ფინანსური იჯარით აღებული აქტივების მიმართ კომპანიას მიერ გატარებული ცვეთის პოლიტიკა შეესაბამება საკუთარი აქტივების მიმართ გამოყენებული ცვეთის დარიცხვის პოლიტიკას.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიას ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიას ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიას ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ბ) გადასახადები

კომპანიას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

4. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები 2021 და 2020 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწა (ქ. ვანი)	დაუმთავრებელი შენიშვნა	მანქანა- დანადგარები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სამშენებლო ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2019	-	-	238,755	49,866	-	3,565,516	3,854,137
შემოსვლა	14,000	9,138	150,911	23,192	-	2,840,216	3,037,457
გასვლა/ კორექტირება	-	-	-	-	-	(30,935)	(30,935)
31 დეკემბერი 2020	14,000	9,138	389,666	73,058	-	6,374,797	6,860,659
შემოსვლა	-	170,071	1,203,333	189,861	129,460	5,474,102	7,166,827
გასვლა/ კორექტირება	-	-	(38,138)	(154,977)	-	(42,000)	(235,115)
31 დეკემბერი 2021	14,000	179,209	1,554,861	107,942	129,460	11,806,899	13,792,371
დაგროვილი ცვეთა							
31 დეკემბერი 2019	-	-	7,761	3,567	-	561,675	573,003
პერიოდის ცვეთა	-	-	63,675	13,052	-	371,027	447,754
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2020	-	-	71,436	16,619	-	932,702	1,020,757
პერიოდის ცვეთა	-	-	265,599	22,944	22,244	487,056	797,843
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	-	-	337,035	39,563	22,244	1,419,758	1,818,600
წმინდა საბალანსო ღირ.-ბა							
31 დეკემბერი 2019	-	-	230,994	46,299	-	3,003,841	3,281,134
31 დეკემბერი 2020	14,000	9,138	318,230	56,439	-	5,442,095	5,839,902
31 დეკემბერი 2021	14,000	179,209	1,217,826	68,379	107,216	10,387,141	11,973,771

კომპანიას საბანკო სესხის უზრუნველყოფის მიზნით ძირითადი საშუალებების მუხლიდან რეგისტრირებულია გირავნობა სატრანსპორტო საშუალებებისა და სამშენებლო ტექნიკის ჯგუფიდან 1 652 100 ლარის ნეტო საბალანსო ღირებულების ქონებაზე 31.12.2021-ის მდგომარეობით. უფლებრივი შეზღუდვა არ არსებობს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

5. საინვესტიციო ქონება

ისტორიული ღირებულება	მიწა და შენობა (საცხოვრებელი სახლი დილოში და ბინა ვანში)	9468 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ზაპესში, ქ. თბილისი	988 კვ.მ მიწის ნაკვეთი	988 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე კორპუსის მშენებლობა	სულ
31 დეკემბერი 2019	1,630,700	674,600	197,000	491,376	2,993,676
შემოსვლა	19,070	-	-	410,622	429,692
გასვლა/ კორექტირება	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2020	1,649,770	674,600	197,000	901,998	3,423,368
შემოსვლა	-	-	-	426,599	426,599
გასვლა/ კორექტირება	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	1,649,770	674,600	197,000	1,328,597	3,849,967
დაგროვილი ცვეთა					
31 დეკემბერი 2019	-	-	-	-	-
პერიოდის ცვეთა	59,052	-	-	-	59,052
გასვლა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2020	59,052	-	-	-	59,052
პერიოდის ცვეთა	59,052	-	-	-	59,052
გასვლა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	118,104	-	-	-	118,104
წმინდა საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2019	1,630,700	674,600	197,000	491,376	2,993,676
31 დეკემბერი 2020	1,590,718	674,600	197,000	901,998	3,364,316
31 დეკემბერი 2021	1,531,666	674,600	197,000	1,328,597	3,731,863

კომპანიას საბანკო სესხის უზრუნველყოფის მიზნით საინვესტიციო ქონებიდან იპოთეკით აქვს დატვირთული 3 057 263 ლარის ნეტო საბალანსო ღირებულების ქონება 31.12.2021-ის მდგომარეობით. უფლებრივი შეზღუდვა არ არსებობს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

6. არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალური აქტივები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სასაწყობე პროგრამა	მოპოვების ლიცენზია	სულ
ისტორიული ღირებულება			
ნაშთი 31.12.2019-ის მდგომარეობით	-	-	-
დამატება 2020	700	-	700
ნაშთი 31.12.2020-ის მდგომარეობით	700	-	700
დამატება 2021	-	35,000	35,000
ნაშთი 31.12.2021-ის მდგომარეობით	700	35,000	35,700
აკუმულირებული ამორტიზაცია			
ნაშთი 31.12.2019-ის მდგომარეობით	-	-	-
ამორტიზაცია 2020	-	-	-
ნაშთი 31.12.2020-ის მდგომარეობით	-	-	-
ამორტიზაცია (მოპოვება) 2021	-	7,005	7,005
ნაშთი 31.12.2021-ის მდგომარეობით	-	7,005	7,005
ნეტო საბალანსო ღირებულება			
ნაშთი 31.12.2019-ის მდგომარეობით	-	-	-
ნაშთი 31.12.2020-ის მდგომარეობით	700	-	700
ნაშთი 31.12.2021-ის მდგომარეობით	700	27,995	28,695

7. სხვა გრძელვადიანი მოთხოვნა

	31.12.2021	31.12.2020
გრძელვადიანი მოთხოვნა	2,718,847	2,718,847
გრძელვადიანი მოთხოვნის გაუფასურება	(2,350,000)	(2,350,000)
სულ გრძელვადიანი მოთხოვნა	368,847	368,847

გრძელვადიანი მოთხოვნა წარმოადგენს 1 საწარმოს წინაშე არსებულ მოთხოვნას. აღნიშნული საწარმოს მიმართ დებიტორული დავალიანება წარმოქმნილია ძირითადად მძიმე ტექნიკის მიწოდების შედეგად. აღნიშნული საწარმო ამავდროულად არის შპს B.P.TRANS-ის კრედიტორი - ასრულებს სხვადასხვა სამუშაოებს. რადგან საწარმოს მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ფინანსური რესურსი შპს B.P.TRANS-ის ვალდებულების დასაფარად, მოთხოვნა გაუფასურებულია ამ საწარმოს მიმართ შპს B.P.TRANS-ის ვალდებულების ღირებულებამდე. აღნიშნული ვალდებულება ასახულია სავაჭრო და სხვა ვალდებულებების როგორც გრძელვადიან ნაწილში (5%-იანი საგარანტიო დაკავებები), ასევე სავაჭრო და სხვა ვალდებულებების მოკლევადიან ნაწილში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

8. მარაგები

კომპანიის მარაგები შედგება:

	31.12.2021	31.12.2020
ნედლეული და მასალები	743,606	207,815
დაუმთავრებელი წარმოება	51,734	-
მზა პროდუქცია	1,935	-
სულ მარაგები	797,275	207,815

9. დაკავებული ფულადი სახსრები

დაკავებული ფულადი სახსრები წარმოადგენს ერთ-ერთ კომერციულ ბანკში არსებულ დამკვეთის მიერ ბლოკირებულ წინასწარ ჩარიცხულ თანხებს წლის ბოლოს მდგომარეობით.

აღნიშნული თანხები წარმოადგენს კომერციული ბანკიდან მიღებული სესხების უზრუნველყოფას სხვა ქონებასთან ერთად, რომელზეც შესაბამის განმარტებით შენიშვნებშია განმარტებული.

10. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შედგება:

	31.12.2021	31.12.2020
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	614,217	667,015
საკონტრაქტო აქტივები (შესრულების სტადიის მიხედვით დათვლილი შემოსავლის შედეგად)	565,854	-
5%-იანი საგარანტიო დაკავება დამკვეთის მიერ	2,687,839	1,551,523
სხვა მოთხოვნები	200,000	300,000
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ	2,565	-
გაუფასურების ანარიცხები	(247,728)	-
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	3,822,747	2,518,538

საექვო მოთხოვნების რეზერვი 31 დეკემბერი 2019	-
წლის რეზერვის დარიცხვა	-
ჩამოწერა	-
რეზერვის აღდგენა წლის განმავლობაში	-
საექვო მოთხოვნების რეზერვი 31 დეკემბერი 2020	-
წლის რეზერვის დარიცხვა	(247,728)
ჩამოწერა	-
რეზერვის აღდგენა წლის განმავლობაში	-
საექვო მოთხოვნების რეზერვი 31 დეკემბერი 2021	(247,728)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

11. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

კომპანიის ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები შეადგენს:

	31.12.2021	31.12.2020
ფული საბანკო ანგარიშზე (ლარი)	22,093	-
ფული საბანკო ანგარიშზე (აშშ დოლარი)	735	-
ნაღდი ფული სალაროში (ლარი)	855	3,800
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	23,683	3,800

12. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

კომპანიის სავაჭრო და სხვა რედიტორული დავალიანება შედგება:

	12/31/2021	12/31/2020
სავაჭრო ვალდებულება	1,530,307	1,063,925
გადასახდელი ხელფასები	17,272	21,436
გადასახდელი საპენსიო	133,406	173,887
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	1,680,985	1,259,248

გრძელვადიან სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში 2021 წლის 31 დეკემბერს წარდგენილი ნაშთი 475,169 ლარის ოდენობით წარმოადგენს მიღებულ შესრულებებზე დაკავებულ საგარანტიო თანხას, მთლიანად მიღებული მომსახურების 5 %-ს, რომლის გადახდის ვადებია ანგარიშგების თარიღიდან 2-3 წელი.

13. მიღებული სესხები

კომპანიის მიღებული სესხები შედგება:

კრედიტის გამცემი	ხელშეკრულება	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	სესხის გაცემის თარიღი	სესხის დასრულ. თარიღი	12/31/2021		12/31/2020	
						მოკლე- ვადიანი ნაწილი	გრძელ- ვადიანი ნაწილი	მოკლე- ვადიანი ნაწილი	გრძელ- ვადიანი ნაწილი
სს "თიბისი ბანკი"	6250143-11507407	7.50%	აშშ დოლ.	7/16/2021	7/16/2024	1,068,266	1,750,520	-	-
სს "თიბისი ბანკი"	6250143-11774645	12.50%	ლარი	12/30/2021	6/10/2022	1,000,000	-	-	-
სს "თიბისი ბანკი"	6250143-10569907	13.50%	ლარი	7/20/2019	11/3/2021	-	-	450,668	-
სალიზინგო ვალდებულება	LA -100771					-	-	101,132	-
სალიზინგო ვალდებულება	LA-102389					-	-	366,345	-
სულ						2,068,266	1,750,520	918,145	-

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

14. საგადასახადო ვალდებულება

საგადასახადო ვალდებულება წარმოადგენს ყველა გადასახადის ნეტო შედეგს წლის ბოლოსთვის და ძირითადად შედგება დამატებული ღირებულების გადასახადისგან.

15. ამონაგები

კომპანიის ამონაგები შედგება:

	2021	2020
საავტომობილო გზების რეაბილიტაციისა და მდინარის ნაპირსამაგრი სამუშაოებიდან მიღებული შემოსავალი	33,159,271	15,394,070
ტექნიკების იჯარით მიღებული შემოსავალი	246,819	-
საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი	657,021	162,846
სხვა მომსახურებით მიღებული შემოსავალი	185,593	319,901
	34,248,703	15,876,817

16. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანიის გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება შედგება:

	2021	2020
მასალა	11,228,635	1,914,202
ქვეკონტრაქტორის მომსახურება	3,509,685	2,802,242
ხელფასი	3,876,429	2,790,397
ცვეთა	774,899	434,702
საწვავი	2,348,985	1,720,175
ტექნიკის შეკეთების ხარჯი	1,374,479	810,757
იჯარის ხარჯი	1,114,811	1,698,504
დაზღვევის ხარჯი	128,512	92,478
ტრანსპორტირების ხარჯი	253,041	93,074
სხვა ხარჯები	673	70,932
	24,610,149	12,427,463

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანიის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები შედგება:

	2021	2020
ხელფასის ხარჯი	538,999	369,089
ცვეთა და ამორტიზაცია	81,996	72,104
დებიტორების გაუფასურება	247,728	-
საკონსულტაციო ხარჯი	115,868	88,776
საგადასახადო ხარჯი	5,138	6,780
კომუნიკაციის ხარჯი	43,742	17,292
უსაბუთო ხარჯები	1,852,667	1,434,352
იჯარის ხარჯი	35,520	33,059
სხვა ხარჯი	127,382	3,961
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	3,049,040	2,025,413

18. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი შედგება:

	2021	2020
სადაზღვევო კომპანიების მიერ ანაზღაურებული ზარალი	99,533	138,987
იჯარით მიღებული შემოსავალი	102,943	87,669
ქველმოქმედება და საჩუქრები	(161,641)	(19,990)
სხვადასხვა ჯარიმები	(75,781)	(25,143)
ნაშთების გასწორება და სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	(20,579)	448,574
	(55,525)	630,097

19. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია მის წინააღმდეგ სასამართლო დავები და არც ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის არსებობს ასეთი. შესაბამისად არ არის მოლოდინი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნის და სასამართლო დავებთან დაკავშირებით ანარიცხი არ არის წარდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში

საგადასახადო კანონმდებლობა - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შესაძლოა განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიას ოპერაციები შესაძლოა გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მენეჯმენტს მიაჩნია, რომ მისი საგადასახადო მიდგომა არის კანონმდებლობის შესაბამისი. შესაბამისად, პოტენციურ საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებით ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების მიხედვით არის, როდესაც:

- ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;
- ბ) მხარე არის საწარმოს ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;
- გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პირების ოჯახის წევრი;
- დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ და არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე.

სხვა დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს ისეთი საწარმოები რომლებიც კონტროლდება ან რომლებზეც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ანგარიშვალდებულ საწარმოზე კონტროლის მქონე პირებს.

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან 2020 წლის ბოლოს არ არსებობს. 2021 წლის ბოლოს დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები მოცემულია ქვემოთ:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება აქტივები	დამფუძ- ნებელი	სხვა დაკავშ. მხარე	ხელმძღვა- ნელობა	სულ
გაცემული სესხები	-	56,227	-	56,227

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან მოცემულია ქვემოთ:

2021

სრული შემოსავლების ანგარიშგება	დამფუძ- ნებელი	სხვა დაკავშ. მხარე	ხელმძღვა- ნელობა	სულ
რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები	-	19,966	-	19,966
ძირითადი საშუალების რეალიზაცია	42,000	-	-	42,000
ხელფასები და სხვა სარგებელი	-	-	384,760	384,760
ფინანსური შემოსავალი	-	1,717	-	1,717
საიჯარო შემოსავალი	99,343	-	-	99,343
საიჯარო ხარჯი	43,750	8,747	-	52,497

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

2020

სრული შემოსავლების ანგარიშგება	დამფუძ- ნებელი	სხვა დაკავშ. მხარე	ხელმძღვა- ნელობა	სულ
რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები	19,548	-	-	19,548
ხელფასები და სხვა სარგებელი	-	-	202,210	202,210
საიჯარო შემოსავალი	82,797	-	-	82,797
საიჯარო ხარჯი	53,125	-	-	53,125

21. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

აღებული და დაფარული სასესხო ვალდებულებები

ანგარიშგების თარიღიდან მისი გამოცემის თარიღამდე შპს B.P. TRANS-ს მიღებული აქვს დამატებით 3,356,489 ლარის სასესხო ვალდებულება ადგილობრივი კომერციული ბანკიდან, საიდანაც დაფარა 2,322,329 ლარის სასესხო ვალდებულება.

შესყიდული მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებები

ანგარიშგების თარიღიდან მისი გამოცემის თარიღამდე შპს B.P. TRANS-ს შეძენილი აქვს 2,260,000 ლარის ღირებულების სამშენებლო ტექნიკა და მანქანა-დანადგარები.

დივიდენდის გაცემა

ანგარიშგების თარიღიდან მისი გამოცემის თარიღამდე შპს B.P. TRANS-ს გამოცხადებული და გაცემული აქვს 794,725 ლარის დივიდენდი.

22. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

შპს B.P. TRANS-ის დირექტორმა ფინანსური ანგარიშგებები დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2022 წლის 11 ნოემბერს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	11,973,771	5,839,902	3,281,134
საინვესტიციო ქონება	5	3,731,863	3,364,316	2,993,676
არამატერიალური აქტივები	6	28,695	700	-
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნა	7	368,847	368,847	2,960,914
გაცემული სესხები		56,227	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		16,159,403	9,573,765	9,235,724
გადახდილი ავანსები		593,106	217,568	204,404
მარაგები	8	797,275	207,815	-
დაკავებული ფულადი სახსრები	9	224,131	3,210,150	-
მოთხოვნები და სხვა დებიტორული დავალიანება	10	3,822,747	2,518,538	1,918,632
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	23,683	3,800	6,803
სულ მოკლევადიანი აქტივები		5,460,942	6,157,871	2,129,839
სულ აქტივები		21,620,345	15,731,636	11,365,563
კაპიტალი და ვალდებულებები				
გაუნაწილებელი მოგება		14,683,609	8,576,129	6,921,588
სულ კაპიტალი		14,683,609	8,576,129	6,921,588
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	12	475,169	-	-
მიღებული სესხები	13	1,750,520	-	1,130,350
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,225,689	-	1,130,350
მიღებული ავანსები		576,320	4,309,150	-
მიღებული სესხების მიმდინარე ნაწილი	13	2,081,235	918,145	800,000
საგადასახადო ვალდებულება	14	372,507	668,964	849,404
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	12	1,680,985	1,259,248	1,664,221
სულ მიმდინარე ვალდებულებები		4,711,047	7,155,507	3,313,625
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		21,620,345	15,731,636	11,365,563

დადასტურებული და ხელმოწერილია 2022 წლის 11 ნოემბერს ხელმძღვანელობის სახელით:



დირექტორი - ვალერიანე კვარაცხელია

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
ამონაგები	15	34,248,703	15,876,817
რეალიზაციის თვითღირებულება	16	(24,610,148)	(12,427,462)
საერთო მოგება		9,638,555	3,449,355
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(3,049,040)	(2,025,413)
საოპერაციო მოგება		6,589,515	1,423,942
ფინანსური ხარჯი		(438,309)	(384,203)
ფინანსური შემოსავალი		19,200	-
გაცვლითი კურსის წმინდა ეფექტი		42,114	(15,295)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	18	(55,525)	630,097
ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღ. ზარალი		(49,515)	-
მოგება დაბეგვრამდე		6,107,480	1,654,541
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა მოგება		6,107,480	1,654,541
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		6,107,480	1,654,541

დადასტურებული და ხელმოწერილია 2022 წლის 11 ნოემბერს ხელმძღვანელობის სახელით:



დირექტორი - ვალერიანე კვარაცხელია

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2019	6,921,588	6,921,588
წლის წმინდა მოგება	1,654,541	1,654,541
31 დეკემბერი 2020	8,576,129	8,576,129
წლის წმინდა მოგება	6,107,480	6,107,480
31 დეკემბერი 2021	14,683,609	14,683,609

დადასტურებული და ხელმოწერილია 2022 წლის 11 ნოემბერს ხელმძღვანელობის სახელით:



დირექტორი - ვალერიანე კვარაცხელია

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	6,107,480	1,654,541
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	863,900	506,806
ძირითადი საშუალებების გასვლა/სხვა კორექტირება	235,115	30,935
მოთხოვნების გაუფასურება	247,728	-
ფინანსური შემოსავლები	(19,200)	-
ფინანსური ხარჯები	438,309	384,203
წმინდა (მოგება)/ზარალი საკურსო სხვაობიდან	(42,114)	15,295
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	7,831,218	2,591,780
საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		
მარაგების (ზრდა)/შემცირება	(589,460)	(207,815)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება	(1,927,475)	(613,070)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	(2,801,454)	3,888,882
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	(296,457)	(180,440)
გრძელვადიანი მოთხოვნის (ზრდა)/შემცირება	-	2,592,067
ბანკში ბლოკირებული საგარანტიო თანხის ცვლილება	2,986,019	(3,210,150)
მიღებული პროცენტები	17,483	-
გადახდილი პროცენტები	(425,340)	(384,203)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	4,794,534	4,477,051
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(7,166,827)	(3,037,457)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(35,000)	(700)
სესხის გაცემა	(72,510)	-
გაცემული სესხის დაბრუნება	18,000	-
საინვესტიციო ქონების შეძენა	(426,599)	(429,692)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(7,682,936)	(3,467,849)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის აღება	4,254,437	1,470,012
სესხის გადახდა	(1,346,152)	(2,482,217)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	2,908,285	(1,012,205)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	19,883	(3,003)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	3,800	6,803
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა ფულზე	-	-
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	23,683	3,800

დადასტურებული და ხელმოწერილია 2022 წლის 11 ნოემბერს ხელმძღვანელობის სახელით:



დირექტორი - ვალერიანე კვარაცხელია

აუდიტორის დასკვნის დანიშნულება და გამოყენება

აღნიშნული დასკვნის შინაარსი, მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით, შედგენილია კომპანიის მენეჯმენტისა და დამფუძნებლებისათვის. დამკვეთი უფლებამოსილია შემსრულებლის მიერ შედგენილი დოკუმენტი გამოიყენოს მხოლოდ შემდეგი მიზნებისთვის (და არა რომელიმე სხვა მიზნით: საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად, 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებაში, კანონის შესაბამისი სავალდებულო მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, ატვირთოს აუდიტორის ანგარიში, აუდიტებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ანგარიშგების პორტალზე www.reportal.ge

აღნიშნული დასკვნის - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - გაცემით, ჩვენ არ ვიღებთ და არც მოვიაზრებთ რაიმე სახის პასუხისმგებლობას აღნიშნული დასკვნის რომელიმე სხვა მიზნით ან რომელიმე სხვა პირის მიერ გამოყენების შემთხვევაში, მათ შორის იმ პირის წინაშე რომლისთვისაც აღნიშნული დასკვნა და მისი შინაარსი - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - რაიმე გზით გახდა ხელმისაწვდომი, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ჩვენს მიერ ასეთი პასუხისმგებლობა ცალსახად და გარკვევით, წინასწარ, წერილობითი ფორმით იყო აღიარებული შესაბამისი პირის წინაშე.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ლევან პაპიაშვილი

რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-387992

შპს კრესტონ ჯორჯიას სახელით (ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-342289)

პ. ქავთარაძის 1 შესახვევი #10; სართული 3, ოფისი 4,

თბილისი 0186, საქართველო

11.11.2022 წელი

